26 ივნისი
ოთხშაბათი,
1963 წ.
№ 125 (2230)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

მსოფლიოს ქალთა ფორუმი

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, 24 ივნისს მუშაობა დაიწყო ქალთა მსოფლიო კონგრესმა, რომელიც განიხილავს ქალთა საერთაშორისო მოძრაობის თანამედროვე პრობლემებს. მსოფლიოს ქალთა ეს ფორუმი დაემთხვა დიდ მოვლენას, როცა გამარჯვებით დამთავრდა საბჭოთა ადამიანების ვ. ბიკოვსკისა და ვ. ტერეშკოვას კოსმოსური ფრენა, ხოლო ჩვენი ქვეყნის ამ სასიქადულო გმირებში ერთი — ქალია.

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე ე. კოტონი, ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა. კონგრესი გახსნა ნ. ვ. პოპოვამ, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდ როლს ასრულებენ ქალები მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, ხალხთა გაერთიანებაში საყოველთაო განიარაღებისათვის, სხვადასხვა სოციალისტური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის და სხვ.

არგენტინის დელეგაციის წევრმა როსა იასოვიჩმა შეიტანა წინადადება, რომ აირჩიონ კონგრესის პრეზიდიუმი. მან პრეზიდიუმში პირველი დაასახელა ქალთა საერთაშორისო მოძრაობის უხუცესი და გამოჩენილი მოღვაწე ეჟენი კოტონი და ვარსკვლავეთის დამპყრობი, შესანიშნავი საბჭოთა კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა. პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 100-ზე მეტი ქალი.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მილიონობით მშრომელთა სახელით ჩვენი პლანეტის ქალთა წარგზავნილებს მხურვალედ მიესალმა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ფ. პრომისლოვი. მოხსენება — „ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ქალთა უფლებებისა და ბავშვთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში" — გააკეთა ე. კოტონმა.

მოხსენების შემდეგ საბჭოთა დელეგაციის წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ო. ი. ივაშჩენკომ წაიკითხა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი, რომელიც მან გამოუგზავნა ქალთა მსოფლიო კონგრესს. კონგრესის დელეგატები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წერილს, მხურვალე ოვაციით უპასუხეს მას. თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა შეკრებილთა სახელით გულითად მადლობას უხდის ნ. ს. ხრუშჩოვს წერილისათვის.

მსოფლიოს ქალთა კონგრესი განაგრძობს მუშაობას.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

„ბურევესტნიკის" მესამე გამარჯვება

ორი შეხვედრა ჩაატარეს საბჭოთა კავშირში საფრანგეთის მუშათა სპორტული კლუბის ძიუდოისტებმა, ვიდრე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვეოდნენ და ორივეჯერ (როგორც მოსკოვში, ისე გორში) დამარცხება განიცადეს. ამიტომ მესამე შეხვედრაზე, რომელიც 24 ივნისს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა, ისინი არც თუ დიდ იმედებს ამყარებდნენ. ცხადი იყო, რომ „ბურევესტნიკის" ნაკრების მოჭიდავეები სტუმრებს სჯობდნენ როგორც ტექნიკურ, ისე ფიზიკურ მომზადებაში. როგორც ჩანს, ჩვენში კულტივირებულმა სამბომ საკმაოდ მტკიცე საფუძველი შექმნა ძიუ-დოს განვითარებისათვის.

„ბურევესტნიკის" ნაკრებმა მოიგო მესამე შეხვედრაც საკმაოდ დიდი ანგარიშით — 7:1 (ერთი შეხვედრა ფრედ დამთავრდა და ძიუ-დოს წესების თანახმად იგი გუნდის საერთო ანგარიშში არ იქნა შეტანილი). ამასთან შვიდივე ბრძოლა ჩვენმა მოჭიდავეებმა ვადაზე ადრე წმინდა გამარჯვებით დაამთავრეს, ამისათვის მათ დაჭირდათ მხოლოდ 10 წუთი.

საფრანგეთის გუნდმა ერთადერთი ქულა აიღო პირველ შეხვედრაში. მ. არიასმა (მსუბუქი წონა) მომგებიანი ქულა გაუკეთა ვ. დარამკევიჩს და შემდეგ შეინარჩუნა ეს უპირატესობა.

მომდევნო წყვილი იყო ა. ბიგო-შ. რომელაშვილი. თბილისელმა ოსტატმა ადრე ორი შეხვედრა ჩაატარა მოსკოვსა და გორში და ორივეში წმინდა გამარჯვებას მიაღწია. შ. რომელაშვილი ამჯერადაც აგრესიული სტილის ერთგული დარჩა. მან ოსტატურად დააგდო მოწინააღმდეგე ხალიჩაზე და შემდეგ 30 წამით შებოჭა იგი. ამან ბურევესტნიკელს წმინდა გამარჯვება მოუტანა წუთნახევარში.

მტკივნეული ფანდით თავის სასარგებლოდ დაამთავრა ბრძოლა პ. კრუზემ („ბურევესტნიკი") ა. გალოს წინააღმდეგ. ა. ზურაბაული (საშუალო წონა) შეხვდა ფ. აბადის. ლამაზად შესრულებულმა შუაკაურმა მას წმინდა გამარჯვება მოუტანა.

უცნაური გადაწყვეტილება მიიღო ფრანგმა არბიტრმა ჟ. პასკალ-ვ. ბუდანოვის შეხვედრის დამთავრების შემდეგ. იმ დროს, როდესაც ფრე ეჭვს არავისში არ იწვევდა, მსაჯმა გამარჯვება ფრანგ მოჭიდავეს მიაკუთვნა. ძიუ-დოს წესების თანახმად მსაჯის გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრების უფლება არავის არა აქვს. მაგრამ, როგორც ჩანს, არბიტრმა თვითონ მიიჩნია თავისი ნაბიჯი არასწორად და პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალა. საბოლოოდ ამ შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ფრე.

ბ. ბალაკაშვილმა მტკივნეული ილეთის ჩატარებით აიძულა მ. ლოეზიკი უარი ეთქვა ბრძოლის გაგრძელებაზე.

მძიმე წონაში სამი შეხვედრა ჩატარდა. ნ. კულიკმა 1 წუთსა და 15 წამში დაამარცხა ნ. ლეფევრი, ხოლო ტ. რომანოვსკიმ წუთნახევარში მოუგო ა. შენიონს. ამ დღეს ყველაზე ხანმოკლე გამოდგა თ. ჩიკვილაძე-ა. მაზიერის ორთაბრძოლა. ქართველმა ოსტატმა მოწინააღმდეგე 20 წამში დაამარცხა.

• • •

სურათებზე: ზემოთ — თ. ჩიკვილაძე-ა. მაზიერის შეხვედრის მომენტი. ქვემოთ — ბ. ბალაკაშვილი ამზადებს მორიგ შეტევას მ. ლოეზიკის წინააღმდეგ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სეზონში უძლიერესნი

საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაციამ დაამტკიცა „სნაიპერთა" სია 1962 წლის სეზონის შედეგების მიხედვით (სია შედგა არა აღებულ ქულათა უმეტესი რაოდენობით, არამედ თვითეულ მატჩში საშუალოდ მოპოვებულ ქულათა რიცხვის მიხედვით).

ქალთა შორის პირველი ადგილი წილად ხვდა ტაშკენტის „ტექსტილმაშის" წარმომადგენელს სალიმოვას, რომელსაც მატჩში საშუალოდ 25 ქულა აქვს დაგროვილი. სულ სალიმოვამ 26 თამაშში თავის გუნდს 659 ქულა მოუტანა. სიაში მეორე ადგილზეა ოსტაპენკო (კიშინიოვის „ინჟდორსტროი") მისი მაჩვენებელია თვითეულ მატჩში 18 ქულა. ოსტაპენკომ 24 თამაშში 436 ქულა დააგროვა. 17 ქულა — ასეთი შედეგით დაამთავრა გასული სპორტული სეზონი ლუუტსეპამ (ტარტუს უსკა). მან 27 თამაშში აიღო 449 ქულა. სიაში მე-18 ადგილზეა თბილისის „პოლიტექნიკის" გუნდის წევრი ც. ჯანელიძე — 12 ქულა. ჯანელიძემ 27 თამაშში თავის გუნდს 328 ქულა მისცა. საერთოდ კი გასულ სეზონში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო სალიმოვა — 659 ქულა. მეორე ადგილზეა ლუუტსეპი — 449, მესამეზე — ოსტაპენკო. 328 ქულით ჯანელიძე მე-9 ადგილზე იმყოფება.

ვაჟთა შორის სნაიპერთა სიას სათავეში უდგას ოდესის „ბურევესტნიკის" კალათბურთელი ბუდიაკი. მას საშუალოდ თამაშში 23 ქულა აქვს აღებული. ასეთივე მაჩვენებელი აქვს მოსკოვის დინამოელს პეტროვს. მაგრამ პირველმა ამ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია 19 თამაშში, ხოლო მეორემ—28 თამაშში (ამიტომ ბუდიაკი პირველ ადგილზეა). მესამე შედეგი აქვს სვერდლოვსკის „ურალმაშის" ცენტრალურ თავდამსხმელს კანდელს — 21 ქულა. თბილისის „დინამოს" წევრი ლ. მოსეშვილი 16 ქულით მე-12 ადგილზეა.

გასულ სეზონში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო პეტროვი. მან 28 თამაშში 649 ქულა დააგროვა. კანდელს აქვს 538 ქულა (26 თამაშიდან), ხოლო ლენინგრადის „სპარტაკის" წარმომადგენელს გრიგორაშენკოს — 501 ქულა (28 თამაშიდან). ლ. მოსეშვილი ამ სიაში მე-7 ადგილზეა — 425 ქულა 27 შეხვედრიდან.

* * *

ასეთივე მონაცემებით წყალბურთის ფედერაციამ შეადგინა „სნაიპერთა" სია. ჩვენი ქვეყნის 8 უძლიერესმა კოლექტივმა საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში 220 ბურთი გაიტანა. ყველაზე შედეგიანი გუნდი გამოდგა ჩემპიონი — მოსკოვის „დინამო" — 42 ბურთი.

სნაიპერთა სია კი ასე გამოიყურება: 1. ა. შიდლოვსკი (ცსკა მოსკოვი) — 13 ბურთი, 2-3 ბ. გრიშინი, ა. კარტაშოვი (ორივე „დინამო" მოსკოვი) — 10-10 ბურთი. 4-6. ვ. იურჩენკო („დინამო" მოსკოვი), ე. ტროიცკი („სპარტაკი" ლენინგრადი), ვ. მარტინჩიკი („დინამო" ლვოვი) — 9-9 ბურთი, 7-8. პ. მშვენიერაძე („დინამო", მოსკოვი), ი. ჩხიკვაძე („დინამო" თბილისი) — 8-8 ბურთი. 9-11 ო. მიმინოშვილი („დინამო" თბილისი), ი. შლიაპინი („დინამო" მოსკოვი), გ. ლეზინი (ცსკა მოსკოვი) — 7-7 ბურთი, 12-13 გ. ჩიქვანაია („დინამო" თბილისი), ვ. ხოტი („ბალტიკა" ლენინგრადი) — 6-6 ბურთი.

უიმბლდონის ტურნირის სტარტზე

24 ივნისს ინგლისში დაიწყო უიმბლდონის ტრადიციული ტურნირი ჩოგბურთში, რომელსაც სხვაგვარად მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობას უწოდებენ. ამ ტურნირზე საბჭოთა კავშირიდან მიწვეული არიან ა. დმიტრიევა, თ. ლეიუსი, ა. მეტრეველი, ს. ლიხაჩოვი და მ. მოზერი.

წარმატებითი სტარტი აიღო ბაქოელმა ლიხაჩოვმა, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 3:2 (2:6, 6:4, 6:4, 5:7, 6:3) მოუგო ამერიკელ ჩოგბურთელს — დ. მაკმანუსს. ა. მეტრეველმა და მ. მოზერმა სტარტზევე იწვნიეს დამარცხების სიმწარე. მეტრეველმა წააგო ცნობილ ავსტრალიელ სპორტსმენთან რ. ჰიუიტთან — 3:6, 3:6, 4:6, ხოლო მოზერმა—მექსიკელ რ. ოსუნასთან — 4:6, 7:9, 3:6.

უიღბლო სტარტი ჩვენს თანამემამულეთა გარდა ჰქონდათ სხვა საკმაოდ ძლიერ უცხოელ სპორტსმენებსაც. შეჯიბრების პირველი დღის სიურპრიზი იყო ავსტრალიელი „ვარსკვლავის" დ. ფრეზერის დამარცხება თავის თანამემამულესთან — ა. ლეინთან.

უიმბლდონის ტურნირი გრძელდება.

მაღალი ჯილდოს პასუხად

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მორიგი პლენუმის მონაწილენი. დამსწრეთა ტაშის გრიალში დარბაზში შემოიტანეს პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს სპორტულ საზოგადოებათა გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც დაწესებული იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საზოგადოების დასაჯილდოებლად. იგი საკავშირო პროფსაბჭოს სპორტულ საზოგადოებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ხრომოვმა საზეიმო ვითარებაში გადასცა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბოჭორიძეს.

საქართველოს „განთიადის“ ორგანიზაციებმა ეს მაღალი ჯილდო დაიმსახურეს გასულ წელს მოპოვებული სასახელო მაჩვენებლებისათვის, მათ მოამზადეს 33 ოსტატი, 486 პირველთანრიგოსანი, 9000-მდე სხვადასხვა თანრიგის სპორტსმენი, ამაღლდა საწარმოო ტანვარჯიში, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების რიგები, საგრძნობლად გაიზარდა სპორტში მომეცადინეთა რაოდენობა.

ნაყოფიერად იმუშავეს სპორტულმა კლუბებმა და ფიზკულტურულმა კოლექტივებმა—„გამარჯვებამ“, „ფეიქარმა“, „კოლხიდამ“, მაუდკამვოლის კომბინატმა, ფეხსაცმლების გაერთიანება „ისანმა“, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა, გორის ბამბეულის კომბინატმა და სხვა ორგანიზაციებმა.

პლენუმზე იგრძნობოდა, რომ გასულ წელს „განთიადის“ ორგანიზაციების ყველა საქმიანობა წარმართული იყო ვალდებულებათა შესრულებისა და ხალხთა III სპარტაკიადის წარმატებით შეხვედრისაკენ. მაგრამ მომხსენებელმა ი. ბოჭორიძემ და კამათში გამოსულებმა: „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. მამინაშვილმა, ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. აფრიდონიძემ, გორის ბამბეულის კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ნ. დვალმა, სპორტის ოსტატმა გ. ლარიბაშვილმა და სხვებმა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადოებასთან ერთად ილაპარაკეს ნაკლოვანებებზეც.

ჯერ კიდევ იშვიათად ვხვდებით „განთიადის“ სპორტსმენებს საკავშირო შეჯიბრებების გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე, არიან უმოქმედო კოლექტივები, რომელთა რიგს მიეკუთვნება თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკა და სხვ. პლენუმმა თავის მუშაობაში ხაზი გაუსვა მომავლის ამოცანებს და განსაკუთრებით შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მიეძღვნება ხალხთა III საკავშირო სპარტაკიადის ფინალს, პროფკავშირთა XIII საკავშირო ყრილობის გახსნას.

დადგინდა: მიმდინარე წლის ვალდებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ დროისათვის იქნას განაღდებული, კერძოდ, შესრულდეს შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანები, რისთვისაც ყრილობის გახსნის დღისათვის „განთიადის“ ორგანიზაციებში უნდა მომზადდეს სპორტის 20 ოსტატი, 350 პირველთანრიგოსანი, სხვა თანრიგების 11 ათასამდე სპორტსმენი, ფიზკულტურელთა რიცხვი გაიზარდოს 120 ათასამდე, ისე, რომ რეგულარულ სპორტულ საქმიანობაში მონაწილეობდეს ამ სისტემის მუშა-მოსამსახურეთა არანაკლებ 40 პროცენტი, ხოლო საზოგადოება „განთიადის“ წევრთა რიცხვი გაიზარდოს 125 ათასამდე, მომზადდეს 2000 საზოგადოებრივი მსაჯი, ინსტრუქტორი, ფიზორგი, საბჭოს თავმჯდომარე და მათი უმეტესობა დაკავებულ იქნას ყოველდღიურ საქმიანობაში.

პლენუმის ჩატარების შემდეგ რამდენიმე დღემ განვლო. განთიადელები შეუდგნენ პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას, აქტიურად მონაწილეობდნენ III რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, იბრძოდნენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტმა სპორტსმენმა მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში.

იბრძოდა 7 კოლექტივი

დამთავრდა თბილისის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც ხალხთა მესამე სპარტაკიადას მიეძღვნა. მასში 7 ფიზკულტურული კოლექტივის 445 სპორტსმენი მონაწილეობდა.

მძლეოსნობასა და სროლაში გაიმარჯვეს 26 კომისრის რაიკომბინატის გუნდებმა, ჭადრაკში და მაგიდის ჩოგბურთში — კიროვის რაიკომბინატის ფიზკულტურელებმა, ფრენბურთსა და კალათბურთში გამარჯვებული გამოვიდნენ პირველი მაისის რაიკომბინატის სპორტსმენები.

სპარტაკიადაში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს 26 კომისრის რაიკომბინატის სპორტსმენებმა, მესამე თანრიგის ნორმა შეასრულა 27-მა კაცმა, ხოლო მეორე თანრიგის — 7 სპორტსმენმა.

ი. ხაბეიშვილი

ვილაპარაკოთ პერსპექტივებზე

СПАРТАКИАДА СССР НАРОДОВ
19 III 63

მიღწევები

დამთავრდა საქართველოს III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა ძალოსნობაში, მიწყნარდა შტანგის ხმაური და ახლა შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. ამ წერილში შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებზე არ შევჩერდებით, იგი უკვე ცნობილია მკითხველისათვის. ჩვენ გვინდა შევეხოთ ორ ძირითად საკითხს. პირველი — როგორ ემზადება საქართველოს ძალოსანთა ნაკრები გუნდი საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის, როგორია მისი პერსპექტივები ამ ღონისძიებაზე და მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — ძალოსნური სპორტის მდგომარეობა და პერსპექტივები რესპუბლიკაში.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თბილისის ძალოსნების წარმატება— თბილისის ნაკრებმა და კიროვის ჩარხსაშენი ქარხნის გუნდმა (მწვრთნელები მ. ელენტი, პ. გუმაშიანი, გ. კოშაძე, შ. წერეთელი) მოიპოვეს სპარტაკიადის ჩემპიონობა.

მეორე ადგილზე ნაკრებ გუნდებსა და ფიზკულტურის კოლექტივებს შორის დამსახურებულად გამოვიდნენ ქუთაისელი ძალოსნები (მწვრთნელი რ. ხუროძე). სასიხარულოა ის ამბავი, რომ ქუთაისი, რომელსაც ადრე ძალოსნობაში კარგი ტრადიციები გააჩნდა, კვლავ ცდილობს მის აღდგენას. მესამე ადგილი ნაკრებ გუნდებს შორის დაიკავა აფხაზეთის ნაკრებმა გუნდმა, ხოლო ფიზკულტურის კოლექტივებს შორის — მეტალურგიული ქარხნის ძალოსნებმა.

დანარჩენი გუნდების შედეგები იმდენად მოკრძალებულია, რომ მასზე არ შევჩერდებით. აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ფოთის, გორისა და ჭიათურის გუნდები მოუმზადებელი წარდგნენ შეჯიბრებაზე.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება ჩატარდა მაღალ ტექნიკურ დონეზე. ჩვენ დიდი ხანია ასეთი შედეგებით შეჯიბრება არ გვინახავს საქართველოში. დამყარებულ იქნა 9 რესპუბლიკური და 2 საკავშირო რეკორდი.

ქების ღირსია კოჩიევი (მწვრთნელი დ. კაპცოვი), რომელმაც გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი აკვრაში. კოჩიევის ფიზიკური და ტაქტიკური მომზადების დონე საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი მოკლე ხანში იერიშს მიიტანს მსოფლიო რეკორდზე, რომელიც ჩეხოსლოვაკელ ზდრაჟილას ეკუთვნის — 173,5 კგ. ასევე იმედის მომცემია ახალგაზრდა გასპარიანის (მწვრთნელი დ. კაპცოვი) წარმატება, რომელმაც ატაცში დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი მოზარდებს შორის — 118 კგ.

რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს: ებრალიძემ აკვრაში — 171 კგ. კალაშიანმა — აჭიმვაში — 153,5 კგ. მკრტჩიანმა აჭიმვაში — 118 კგ. და სამჭიდში 360 კგ. (მწვრთნელი პ. გუმაშიანი), სვინჩენკომ — აჭიმვაში — 133 კგ (მწვრთნელი მ. ელენტი) და სურამანიძემ სამჭიდის ჯამში — 315 კგ.

ყველა რეკორდი დამყარებულ იქნა საქართველოს ძალოსანთა ნაკრები გუნდის წევრების მიერ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნაკრები გუნდის ხელმძღვანელობა



(უფ. მწვრთნელი მ. ელენტი) და სპორტსმენები სერიოზულად ემზადებიან სპარტაკიადისათვის. ეს შედეგები მიუთითებენ იმაზეც, რომ მწვრთნელთა საბჭო სწორად წარმართავს სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას ნაკრებ გუნდთან.

წარმატებებთან ერთად შეჯიბრებამ გამოავლინა ნაკლოვანი მხარეებიც. თუ უმჩატესი, მჩატე, ქვემსუბუქი, ქვესაშუალო და პირველ მძიმე წონითს კატეგორიებში ნაჩვენები შედეგები დამაკმაყოფილებელია, ამის თქმა არ შეიძლება სხვა წონითი კატეგორიების მიმართ. საშუალო, ქვემძიმე და მეორე მძიმე წონითს კატეგორიებში მონაწილე არც ერთ სპორტსმენს არ უჩვენებია სპორტის ოსტატის ნორმატივი, ხოლო ზოგიერთს — პირველი თანრიგიც. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ საშუალო და ქვემძიმე

და ჩრდილოვანი მხარეები

წონებში გვყავს საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები პაპიძისა და ბაზაძის სახით, რომლებსაც შეუძლიათ მაღალი შედეგების მიღწევა.

ჯერ კიდევ ვერ არიან კარგ სპორტულ ფორმაში შტანგისტები: ათიკაშვილი, ინჯგია, მარტიროსიანი, მიმინოშვილი, ბაზაძე, პაპიძე, სვინჩენკო და სხვები, რომელთაგან ჩვენ კიდევ უფრო მაღალ შედეგებს მოველით.

განსაკუთრებით გვინდა შევეხოთ იმ ჩრდილოვან მხარეს, რომელიც ნათლად გამოჩნდა შეჯიბრების პროცესში და რომელიც ჩვენთვის მოულოდნელი არ არის. საქმე ეხება ჩვენს რესპუბლიკაში ძალოსნური სპორტის მდგომარეობას. ამის შესახებ ბევრჯერ აღინიშნა, მაგრამ მდგომარეობა დღემდე არ გამოსწორებულა. ჩვენ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმ მიღწევებმა, რომელიც დღეისათვის გაგვაჩნია. შეიძლება ითქვას, რომ იმ რეკორდების მიღმა, რომლებიც შეჯიბრებებზე იქნა დამყარებული, სრული სიცარიელე სუფევს. როგორც შეჯიბრებამ გვიჩვენა, საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში სპორტის ეს სახეობა ყურადღებას არ იმსახურებს.

ამბობენ, ციფრები უფრო ნათლად ასახავენ საქმის ვითარებას და ჩვენც მდგომარეობის ნათელსაყოფად მათ მოვიშველიებთ. შეჯიბრებაში წარმოდგენილი 14 გუნდიდან (9 ქალაქის ნაკრები, 5 ფიზკულტურული კოლექტივი) მხოლოდ თბილისის გუნდები იყო სრულად დაკომპლექტებული. აფხაზეთის გუნდი 9 ძალოსნის ნაცვლად 5 სპორტსმენით იყო დაკომპლექტებული. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აფხაზეთის 5-სპორტსმენიანმა გუნდმა მოუგო აჭარის 9 კაცისაგან შემდგარ გუნდს. რუსთავის გუნდი 6 კაცისაგან შედგებოდა, ხოლო ჭიათურისა — 3 კაცისაგან. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა იყო გუნდების ტექნიკური მომზადების მხრივ.

როგორც სპარტაკიადის დებულება ითვალისწინებდა, ჩათვლაში შედიოდა მხოლოდ პირველი თანრიგის შედეგი, მაგრამ შეჯიბრების 86 მონაწილედან მხოლოდ 32 აჩვენა ჩასათვლელი ნორმა, ეს კი საერთო რიცხვის 37 პროცენტს შეადგენს. ფაქტი კომენტარებს არ საჭიროებს. ფოთის, გორის, ჭიათურის ნაკრებს და სოხუმის „წინვაჭრობის“ ფიზკულტურის კოლექტივის გუნდის არც ერთ წევრს ჩასათვლელი ნორმატივი არ უჩვენებია.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შედგა ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი, სადაც აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ძალოსნობის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის ძალზე ცოტა რამ კეთდება. სიტყვაში გამოსული ამხანაგები თელავიდან, აჭარიდან, აფხაზეთიდან, რუსთავიდან, სამხრეთ ოსეთიდან, ქუთაისიდან და სხვა რაიონებიდან აღნიშნავდნენ, რომ მეტად ცოტა კეთდება ძალოსნობაში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

ასეთია ის ჩრდილოვანი მხარეები, რომლებიც მიღწევებთან ერთად ერთხელ კიდევ ნათლად დაგვანახვა ჩატარებულმა შეჯიბრებამ. საჭიროა აქედანვე მიექცეს ყურადღება შექმნილ მდგომარეობას და აღვადგინოთ ჩვენი რესპუბლიკის ტრადიციები, რომელიც მხოლოდ სასიამოვნო მოგონებად შემოგვრჩა.

შ. ბუაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სურათზე: ფიცარნაგზეა საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი, ქვესაშუალო წონის ძალოსანი გ. კოჩიევი საქართველოს III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში მონაწილეობის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

პირველად აუზში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი რეკორდი

ამ დღეებში მძლეოსნობაში ორი მსოფლიო რეკორდი იქნა გაუმჯობესებული, ერთი — ამერიკაში, მეორე — ჩვენს ქვეყანაში. სენტ-ლუისში აშშ-ს ჩემპიონატზე რ. ჰაიესმა 100 იარდზე რბენაში აჩვენა 9,1 წამი, რაც 0,1 წამით აღემატება ამერიკელ ფ. ბადისა და კანადელ ჰ. ჯერომის ძველ მსოფლიო რეკორდს. ჰაიესის მაჩვენებელი 100 მეტრზე უდრის დაახლოებით 9,9 წამს. ამ შედეგმა გადაწყვიტა საკითხი ჰაიესის სასარგებლოდ და იგი შეყვანილ იქნა ქვეყნის იმ ნაკრებში, რომელიც ჩამოვა მოსკოვში მორიგ მატჩზე ჩვენი ქვეყნის მძლეოსნებთან.

ჩვენს დედაქალაქში, „დინამოს“ სტადიონზე გამართულ მოსკოვის ოლქის პირველობაზე თავი ისახელა არმიელმა ვ. ბოიკოვმა, რომელმაც 30 კმ გაირბინა 1:34.32,2 საათში და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი.

ლენინგრადის სპარტაკიადაზე ვ. გრინვალდმა 80 მ თარჯრბენში გაიმეორა ჩვენი ქვეყნის რეკორდი. მისი შედეგია 10,6. ასეთივე დრო ჰქონდა ა. ჩერნიშევასაც.

ლიდერი პრიზებისათვის ბრძოლაში

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 26 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი)-„მოლდოვა“ (კიშინიოვი) — 3:0 (0:0).

„მოლდოვა“: ვებერი, აფონინი, კოლბასიუკი, ზელენიაევი, კოვაჩი, ბოცანი, ტატუშინი, მირონოვი, გუსევი, ცინკლერი (შიმანოვიჩი), მოლოჩკოვი.

„დინამო“: კოტრიკაძე, პეტრიაშვილი, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია (მელაშვილი), მესხი.

მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

★ ★

„მოლდოვა“, ეს გუნდი, რომელიც თავისი რანგითა და საერთო კლასით საგრძნობლად ჩამორჩება თბილისის „დინამოს“, რატომღაც ყოველთვის ძნელ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს ჩვენი ფეხბურთელებისათვის. საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში „მოლდოვას“ არაერთი უსიამოვნება მიუყენებია თბილისელთათვის და საერთო ბალანსიც ერთობ მოკრძალებული უპირატესობით გამოიხატება ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ.

ამ ტრადიციათა სრული შესატყვისი იყო პირველი ტაიმი. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ სტუმრებმა გაძლიერებული დაცვის ვარიანტს მიმართეს და მძიმე მომენტებში მათს გაორმაგებულ დაზღვევაში დაშვებულ შეცდომათა კომპენსაცია აკრძალული ილეთების დახმარებით ხდებოდა. ეს თავისთავად. მაგრამ „დინამო“ მატჩის პირველ ნახევარში თამაშობდა ძალზე ნელ ტემპში, აუარებელი დრო იკარგებოდა მინდვრის შუა ნაწილის გავლისას. ამ ყველაზე ვრცელი ტერიტორიის დაძლევა ხდებოდა ბურთის ხანგრძლივი ტარებით, მოკლე, უსარგებლო გადაცემებით უახლოეს პარტნიორებს შორის. ფლანგებს მხოლოდ მაშინ ეძლეოდათ მოქმედების საშუალება, როცა მოპირდაპირე დაცვას ყველა გზა თავის საჯარიმო მოედანზე საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი და კომბინაციური თამაშის გაშლის საშუალება მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

ერთადერთი, რომელსაც სიმწვავე შეჰქონდა შეტევაში, ეს იყო მესხი, მიუხედავად იმისა, რომ აფონინს მესხთან ბრძოლისას სისტემატურად ეხმარებოდა კოლბასიუკი, დინამოელთა მარცხენა გარემარბი განაგებდა გუნდის ტემპს თავისი ფლანგიდან და რეგულარულად აწოდებდა ბურთებს პოზიციაში, საიდანაც შეიძლებოდა გოლის გატანა.

მაგრამ გოლი არ ჩანდა. მართალია, კალოევმა და ბარქაიამ ორჯერ მიუსწრეს მესხის ამ გადაცემებს, მაგრამ ორივე ბურთი მიზანს აცდა სულ მცირე მანძილით, ხოლო იამანიძისა და დათუნაშვილის დისტანციური დარტყმები არავითარ ხიფათს არ წარმოადგენდა მოლდაველთა კარისათვის, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ იყო ზუსტი.

ერთი სიტყვით, გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ისე, რომ დინამოელთათვის სახარბიელო არაფერი ჩანდა. დაახლოებით ასევე დაიწყო მეორე ტაიმიც, მაგრამ დინამოელთა იერიშის გარდატეხაში თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა მარჯვენა გარემარბმა მეტრეველმა. იგი თამაშობდა მშვიდად, ძალზე რაციონალურად და თითქოს აზრადაც არ უშვებდა, რომ მისთვის მოწინააღმდეგეს შეეძლო ბურთის წართმევა. ამ მომენტიდან, როცა თანაბარი სიძლიერით ამოქმედდა „დინამოს“ ორივე შესანიშნავი ფლანგი, მატჩის მსვლელობაც რადიკალურად შეიცვალა. „მოლდოვას“ დაცვაში ბზარი გაჩნდა.

პირველი გოლი გატანილ იქნა მცველის აქტიური მონაწილეობით. პეტრიაშვილი 24-ე წუთზე სწრაფი ბიძგით გავიდა წინ, მიიღო ბურთი და საჯარიმო მოედანში ჩააწოდა კალოევს. ცენტრალურმა ფორვარდმა გარღვევაზე გაიყვანა მეტრეველი და როცა ეს უკანასკნელი პირისპირ გადიოდა მეკარესთან, მირონოვმა უკანასკნელი საშუალება იხმარა: სარმა. იამანიძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 1:0.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვებერმა მეორე ბურთი გამოიტანა და ეს იყო მეტად ეფექტური, ლამაზი გოლი. მეტრეველმა კუთხურიდან ზუსტად დაკიდა ბურთი კართან, სადაც კალოევმა ოსტატურად შეასრულა თავისი ცნობილი თავური დარტყმა — 2:0. სწორედ ასე უნდა გადიოდეს ჩვენს დროში გოლები, როცა ფორვარდები კარის სიახლოვეს ქრონიკულ „ციტნოტში“ იმყოფებიან და ბურთის დასამუშავებლად მინიმალური დროც აღარა რჩებათ.

ამ დროისათვის „დინამო“ მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყო. იგი დომინირებდა ყველა ხაზში და ამიტომ მესამე გოლიც, რომელიც მეტრეველმა გაიტანა, გუნდის სრული უპირატესობის ბუნებრივი შედეგი იყო. იამანიძემ მოიგო ძალზე ძნელი ბრძოლა ორ მოწინააღმდეგესთან და ბურთი საჯარიმო მოედნის მოპირდაპირე მხარეს გადაიყვანა. აქედან მელაშვილმა იგი ცენტრში დააბრუნა და მეტრეველმა ნელა, მაგრამ ზუსტად დაარტყა კარში — 3:0.

დღეისათვის თბილისის „დინამო“ ლიდერია „ფუტბოლის“ პრიზისათვის ბრძოლაში (დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მოგებული მატჩებისათვის) და გარდა ამისა, ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი გ. ი. ფედოტოვის სახელობის პრიზზე (ყველაზე შედეგიანი გუნდი).

რ. ქორიძე

ბათამაშების ცხრილი მდგომარეობა 26 ივნისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (მოსკოვი)	16	9	6	1	19—5	24
ცსკა	16	7	8	1	12—4	22
„დინამო“ (თბილისი)	16	8	5	3	27—15	21
სკა (როსტოვი)	15	8	4	3	26—11	20
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	16	8	3	5	20—15	19
„დინამო“ (მინსკი)	15	6	7	2	17—13	19
„ტორპედო“ (ქუთაისი)	16	5	9	2	12—9	19
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	16	8	2	6	28—20	18
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	15	6	6	3	20—17	18
„დინამო“ (კიევი)	16	6	5	5	24—18	17
„კაირატი“ (ალმა-ატა)	16	7	2	7	14—17	16
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	15	3	9	3	13—12	15
„შახტიორი“ (დონეცკი)	16	4	7	5	8—11	15
„ტორპედო“ (მოსკოვი)	16	4	6	6	14—19	14
„არარატი“ (ერევანი)	16	5	3	8	20—21	13
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	16	4	4	8	16—24	12
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	16	4	3	9	19—23	11
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	16	1	8	7	11—24	10
„დინამო“ (ლენინგრადი)	16	0	8	8	8—24	8
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	16	1	3	12	12—33	5

■ ■ ■

„სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — 4:2
„დინამო“ (მინსკი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 2:0
„დინამო“ (ლენინგრადი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 1:1
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი) — 0:2
„შახტიორი“ (დონეცკი)-„არარატი“ (ერევანი) — 1:0
სკა (როსტოვი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი) — 7:1
„კაირატი“ (ალმა-ატა)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 1:0

ცვლილებანი „ა“ კლასის გუნდებში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩის ჩატარების შემდეგ მთელი რიგი ფეხბურთელები განთავისუფლებულ იქნენ გუნდებიდან. არსებული დებულების შესაბამისად მათ უფლება მიეცათ გადავიდნენ სხვა კლუბებში.

ლენინგრადის „დინამოში“ გადავიდა ა. ბუგაევი, რომელიც ადრე თამაშობდა ადგილობრივ „ზენიტში“. ამავე გუნდში ჩაირიცხა ა. ბოიცოვი.

მოსკოვის „ტორპედოში“ ჩაირიცხნენ ე. ჟურაველიოვი (ცსკა-დან), ს. კუზნეცოვი (რიაზანის „სპარტაკიდან“) და ვ. მაკაროვი (ვლადიმირის „ტრაქტორიდან“).

კიშინიოვის „მოლდოვაში“ თამაშის უფლება მიიღო ვ. გუსევმა (ლენინგრადის „ზენიტიდან“). ცვლილებები მოხდა „ა“ კლასის II ქვეჯგუფის გუნდებშიც.

ტორპედოელები იღებენ ქულას

კიევი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). გუშინდელ ტურში ორივე მეტოქე, როგორც კიევის „დინამო“, ისე ქუთაისის „ტორპედოც“ რთული ამოცანის წინაშე იმყოფებოდა. დღეს უკვე ყველამ კარგად იცის, რომ წამყვან ჯგუფში მყოფი ქუთაისელი ფეხბურთელები საუკეთესოდ ატარებენ გასვლით მატჩებს და ძლიერ ძალას წარმოადგენენ მოწინააღმდეგეთა მინდვრებზეც, ხოლო კიევის დინამოელებმა საკმაოდ ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ მკვეთრად გააუმჯობესეს თამაში და წარმატებით ჩაატარეს ბოლო მატჩები.

განვლილი შეხვედრის დაძაბულობა განსაკუთრებით გაზარდა იმან, რომ სტუმრებმა თითქმის პირველსავე წუთზე მიიღეს დიდი უპირატესობა ერთი გოლის სახით. ტორპედოელებმა სწრაფი შეტევით დაიწყეს თამაში და შექმნეს კრიტიკული მომენტი კიეველთა კართან, რომლის ნეიტრალიზაციისათვისაც ტურიანჩიკი იძულებული იყო ხელით ეთამაშა. მსაჯმა ს. ალიმოვმა (მოსკოვი) დანიშნა პენალტი, რომლის რეალიზაცია მიენდო თორაძეს. მეკარე მაკაროვმა მოიგერია პირველი დარტყმა, მაგრამ თორაძემ მიუსწრო ბურთს და ამჯერად ზუსტად გაგზავნა იგი ბადეში — 1:0.

ამ გოლის გაქვითვას მასპინძლები მთელი ტაიმის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ „ტორპედოს“ დაცვა და მეკარე ურუშაძე უშეცდომოდ მოქმედებდნენ.

მეორე ტაიმი კიეველებმა ძლიერი, ხანგრძლივი იერიშებით დაიწყეს. მე-16 წუთზე ტორპედოელთა კართან შექმნილი არეულობით ისარგებლა სერებრიანიკოვმა და გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1.

დარჩენილ დროში ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. მოწინააღმდეგეებმა ასევე თანაბრად გაიყვეს ქულებიც — 1:1.

ვ. პტიცა

ფეხბურთი

ბათუმში გაიმართა მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა დინამოელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ტირასპოლის „ლუჩაფერული“.

ხურათზე: დინამოელ ვ. რამიშვილს გააქვს მეორე ბურთი „ლუჩაფერულის“ კარში.

ფოტო პ. კებაბჩიანისა.

შეჯიბრება თუ კომედია?

„უდიდესი საჩოგბურთო შეჯიბრება ძველსა და ახალგაზრდა თაობებს შორის". — ასეთ რეკლამას უკეთებს მომავალ შეჯიბრებას ამერიკული სპორტული პრესა.

„27-30 ივნისს ნიუ-იორკში შედგება განსაცვიფრებელი მატჩი მამებსა და შვილებს შორის",— საქვეყნოდ იუწყებიან აფიშები.

რა სპორტული მოვლენა ელოდებათ ნიუიორკელებს ივნისის ბოლოს? თურმე, ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა პროფესიონალთა შორის პანჩო გონზალესმა გამოთქვა სურვილი ჩავიდეს ნიუ-იორკში და თავისი ძალები გამოსცადოს ახალგაზრდა პროფესიონალ ჩოგბურთელებთან: ლეივერთან, ჰედთან, როზუელთან, ტრაბერტთან, ოლმედოსთან, სეგურასთან და ბუხჰოლცთან.

აქ ყველაფერი გასაგებია, — საჩოგბურთო ბიზნესის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღონ გონზალესის „მკვდრეთით აღდგომის" მეშვეობით.

მაგრამ რა შუაშია „უდიდესი საჩოგბურთო შეჯიბრება ძველსა და ახალ თაობას შორის"? ყველასათვის გასაგებია, რომ პროფესიონალურმა ჩოგბურთმა დიდი ხანია დაკარგა სპორტული სახე და გადაიქცა ნაკლებად საინტერესო სანახაობად. მაგალითად, იტალიური გაზეთი „ესპრესო" ასე ახასიათებს პროფესიონალ ჩოგბურთელებს: „ისინი მხოლოდ რობოტები არიან. მათი თამაში რამდენადაც სრულყოფილია, იმდენად უნაყოფოა. ისინი ეთამაშებიან მხოლოდ თავიანთ თავს, მათთვის მოწინააღმდეგის ყველა ჟესტი ცნობილია, მისი ყველა დარტყმა, ისინი ყოველთვის ერთსა და იმავე ილეთებს იმეორებენ. მათ თამაშში არ იგრძნობა ცეცხლი, იგი მოკლებულია ყოველგვარ დრამატიზმს.

შეხედეთ მაყურებლებს: პროფესიონალ ჩოგბურთელთა თამაში არავითარ განცდებს არ აღუძრავს მათ. და ეს გულშემატკივრები ხომ შეყვარებულნი არიან ჩოგბურთში, შეყვარებულები სიგიჟემდე. მაგრამ მათგან თქვენ ვერ გაიგებთ ვერც აღფრთოვანებულ ყვირილს, ვერც აღშფოთებისა და გამხნევების შეძახილებს, და ვერც დამცირებისა და შურის გამომხატველ ამოსუნთქვას"...

ძნელია ასეთ შეფასებას დაუმატო რამე.

„ტურ დე ლავენირი"

უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც საფრანგეთში ყოველწლიურად ტარდება მრავალდღიანი ველორბოლა „ტურ დე ფრანსი", მაგრამ იგი პროფესიონალთა რბოლაა და თავისი კომერციული ხასიათის გამო თანდათან კარგავს ინტერესს. გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა და ისიც, რომ მოყვარულთა მაჩვენებლები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში, საგრძნობლად ამაღლდა, რბოლის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს პროფესიონალთა რბოლის პარალელურად ჩაატარონ მოყვარულთა რბოლა ე. წ. „ტურ დე ლავენირი", რაც „მომავლის ტურს" ნიშნავს. ეს უკანასკნელი წელს მესამედ ეწყობა.

პროფესიონალებმა სტარტი უკვე აიღეს კვირას პარიზში. მოყვარულთა სტარტი შედგება მომავალ კვირას ქალაქ პერიგეში. ორივე რბოლა უნდა დამთავრდეს საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის დღეს. 14 ივლისს პარიზში, „პარკ დე პრენსის" სტადიონზე. მოყვარულთა ტრასის საერთო სიგრძეა 2062 კმ და 14 ეტაპისაგან შედგება. სტარტზე გამოვა 20 ქვეყნის გუნდი, რომელთა შორის იქნებიან საბჭოთა სპორტსმენებიც. ველორბოლის მონაწილეებს მცხუნვარე დღეებში გასავლელი ექნებათ მეტად რთული პროფილი.

ჩვენი ნაკრები დაკომპლექტდა ამას წინათ სოჭში გამართული შესარჩევი შეჯიბრების შედეგის მიხედვით. ნაკრებში შევიდნენ: ოლიმპიური ჩემპიონი ვ. კაპიტონოვი, მშვიდობის ველორბოლაში გამარჯვებულნი გ. საიდხუჟინი და ი. მელიხოვი, ა. ოლიზარენკო, კანადის რბოლაში გამარჯვებული ა. პეტროვი, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ა. ჩერეპოვიჩი და 1962 წლის ჩემპიონი ა. პავლოვი.

შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდის მონაწილეობა დიდ ინტერესს იწვევს.



სურათზე: „ჯირო იტალიის" ჩემპიონი ბალმალიონი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „ტურ დე ლავენირის" (საფრანგეთი) ველორბოლაში.

საქართველოს ალპინისტები მიმდინარე წელს იერიშს მიიტანენ კავკასიონის მწვერვალებზე, ჩაატარებენ სარეკორდო და საკლასიფიკაციო ასვლებს. მაგრამ ვიდრე მას მიაშურებდნენ, საჭიროა წვრთნა, ალპინისტური ტექნიკის ათვისება, კლდეზე ცოცვის შესწავლა. აი ეს მომენტია აღბეჭდილი ამ სურათზე. მთამსვლელები კლდეზე ცოცვაში ვარჯიშობენ არმაზის ხეობაში.

ფოტო ვ. ღლონტისა.

ინგლისის ნაკრების ბალანსი

არც ერთი ქვეყნის ნაკრებს არ ჩაუტარებია იმდენი საერთაშორისო მატჩი, რამდენიც ინგლისის ნაკრებს. საყურადღებოა, რომ მისი პირველი საერთაშორისო მატჩი ჩატარდა 1872 წელს შოტლანდიელებთან და დამთავრდა იმ დროისათვის სრულიად უჩვეულო ანგარიშით — 0:0.

სულ ინგლისელებმა ჩაატარეს 363 მატჩი, აქედან 213 მოიგეს, 69 ფრედ დაამთავრეს და 81 წააგეს. ბურთების შეფარდებაა 1025:492 ინგლისელების სასარგებლოდ.

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი მატჩი ინგლისის ნაკრებმა თავისი „უმცროსი ძმების" — შოტლანდიელების, უელსელების და ჩრდილოეთ ირლანდიელების წინააღმდეგ ჩაატარა. საყურადღებოა, რომ 80 მატჩის შემდეგ ანგარიში შოტლანდიელების სასარგებლოდაა. ინგლისელებმა მოიგეს 28 მატჩი, ფრედ დაამთავრეს 19 და წააგეს 33. ბურთების შეფარდებაა 144:143 შოტლანდიელების სასარგებლოდ. სამაგიეროდ, უელსელებსა და ჩრდილოეთ ირლანდიელებს ინგლისელები იოლად უსწორდებიან. უელსელებს მათ 73 მატჩიდან მოუგეს 49, ფრედ დაამთავრეს 13 და წააგეს 11, ბურთების შეფარდებით 200:74. ჩრდილოეთ ირლანდიელებს 70 მატჩიდან მოუგეს 53, ფრედ დაამთავრეს 12 და წააგეს 5, ბურთების შეფარდებით 261:66.

როგორია ინგლისელების შედეგები მსოფლიოში უძლიერესი გუნდების წინააღმდეგ?

ინგლისელები ორჯერ შეხვდნენ ე. წ. „ფიფა-ს ნაკრებს", რომლის წინააღმდეგ ისინი წელსაც უნდა გამოვიდნენ, ორივე მატჩი ლონდონში გაიმართა. პირველი შეხვედრა მიეძღვნა ინგლისის ფეხბურთის 75 წლისთავს. იგი ლონდონის „არსენალის" სტადიონზე გაიმართა და დამთავრდა ინგლისელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0. მეორე მატჩი ლონდონის „უემბლეის" სტადიონზე მოეწყო ინგლისის ფეხბურთის 90 წლისთავის აღსანიშნავად (1953 წ.) და მეტად მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა. ეს მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4.

მსოფლიო ჩემპიონების, ბრაზილიელების წინააღმდეგ ინგლისელებმა 5 მატჩი ჩაატარეს, 1 მოიგეს, 2 ფრედ დაამთავრეს და 2 წააგეს. ყველა ეს შეხვედრა უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში გაიმართა ისე, რომ ინგლისელებს საქმე ჰქონდათ იმ ნაკრებთან, რომელმაც ორჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. 1956 წელს ლონდონის „უემბლეის" სტადიონზე მასპინძლებმა მოიპოვეს გამარჯვება (4:2). ამასთან ბრაზილიელთა მეკარე ჟილმარმა 11-მეტრიანი 2 დარტყმა მოიგერია და თავისი გუნდი განადგურებას გადაარჩინა. 1958 წელს მსოფლიო ჩემპიონატში ინგლისელები ერთადერთნი იყვნენ, რომლებმაც ფრეს მიაღწიეს ბრაზილიელებთან (0:0), 1959 წელს რიო-დე-ჟანეიროში და 1962 წელს ვინია-დელ-მარში გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 2:0 და 3:1, ხოლო მათი წლევანდელი შეხვედრა ლონდონში ფრედ (1:1) დამთავრდა.

ევროპის ჩემპიონის — საბჭოთა ფეხბურთელების წინააღმდეგ ინგლისელებმა 4 მატჩი ჩაატარეს: 1 მოიგეს, 2 ფრედ დაამთავრეს და 1 წააგეს. 1958 წელს მოსკოვში შეხვედრა დამთავრდა ფრედ (1:1), ამავე წელს გუნდები კიდევ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. მათი პირველი მატჩი მსოფლიო ჩემპიონატში ფრედ (2:2) დამთავრდა, მაგრამ დამატებით შეხვედრაში გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა (1:0). ამავე წლის დასასრულს ლონდონში „უემბლეის" სტადიონზე ინგლისელებმა აიღეს რევანში ანგარიშით 5:0.

მსოფლიო პირველობის პრიზიორთან — ჩეხოსლოვაკელებთან ინგლისელებს სულ 3 მატჩი აქვთ ჩატარებული. აქედან მათ 1934 წელს წააგეს (1:2) პრაღაში და მოიგეს ლონდონში (5:4), ხოლო ამის შემდეგ ეს გუნდები მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მატჩი ამ მცირე ხნის წინათ გაიმართა ბრატისლავაში და დამთავრდა ინგლისელების გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონებს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებს ინგლისელები ორჯერ შეხვდნენ (1954 და 1956 წლებში) და ორჯერვე გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ინგლისელებს ბედი არ სწყალობთ უნგრელთა წინააღმდეგ. მათ უნგრელებთან 6 შეხვედრიდან 5 წააგეს. აი ეს მატჩებიც: 1934 წ. ბუდაპეშტში — 1:2, 1936 წ. ლონდონში — 6:2, 1953 წ. ლონდონში — 3:6, 1954 წ. ბუდაპეშტში — 1:7, 1960 წ. ბუდაპეშტში — 0:2, 1962 წ. რანკაგუაში — 1:2. ასეთი უარყოფითი ბალანსი ინგლისელებს არც ერთ სხვა ნაკრებთან არა აქვთ.

აი ინგლისელების შედეგები დანარჩენ წამყვან ნაკრებებთან.

საფრანგეთთან პირველი მსოფლიო ომამდელი შეხვედრები ფიფა-ს მიერ არ არის რეგისტრირებული. 1923 წ. პარიზი — 4:1, 1924 წ. პარიზი — 6:0, 1928 წ. პარიზი — 5:1, 1929 წ. პარიზი — 4:1, 1931 წ. პარიზი — 2:5, 1933 წ. ლონდონი — 4:1, 1938 წ. პარიზი — 4:2, 1947 წ. ლონდონი — 3:0, 1949 წ. პარიზი — 3:1, 1951 წ. ლონდონი — 2:2, 1955 წ. პარიზი — 0:1, 1957 წ. ლონდონი — 4:0, 1962 წ. შეფილდი — 1:1, 1963 წ. პარიზი — 2:5. სულ 16 თამაშიდან ფრანგებმა მოიგეს მხოლოდ 3, ინგლისელებმა — 11, 2 მატჩი ფრედ დამთავრდა. ბურთების შეფარდებაა 50:24 ინგლისელების სასარგებლოდ.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს — იტალიელებს სულ 8-ჯერ შეხვდნენ. მოიგეს 4 და დანარჩენი ფრედ დაამთავრეს ბურთების შეფარდებით — 18:10. ესპანელებს ინგლისელებმა სამჯერ მოუგეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და სამჯერ წააგეს. შვედებთან ორი მატჩი ფრედ დაამთავრეს და ორი წააგეს. ინგლისელებს არ უმართლებთ აგრეთვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებთან — ურუგვაელებთან, რომლებთანაც წააგეს ორი მატჩი 1953 წ. მონტევიდეოში — 1:2, 1954 წ. ბაზელში — 2:4.

ინგლისელებთან დადებითი ანგარიში აქვთ იუგოსლაველებსაც — 6 თამაშიდან ინგლისელებმა მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს, ორი მატჩი ფრედ დაამთავრეს და 3 წააგეს.

ასეთია ინგლისელთა ბალანსი მათი ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულის წინ.

რედაქტორი ი. უზულაშა.

ДЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09,
გამომშვების — 3-01-06.

საქ კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11509